



მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება	8
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება	9
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	11
3.1 გადასახადები	11
3.2 სხვა შემოსავლები	12
3.2.1 დივიდენდები	14
4. არაფინანსური აქტივების კლება	16
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	17
5.1 ხარჯები	19
5.1.1 შრომის ანაზღაურება	21
5.2 არაფინანსური აქტივების ზრდა	23
6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია	25
7. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი	28

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 135-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში; ბ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია საკითხები, რომლებზეც მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება, კერძოდ:

- J 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 12,806.1 ათასი ლარით შემცირდა და 21,671.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმური მაჩვენებლის 40.7%-ია. ნაშთის გამოყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნავდა წინა პერიოდის დასკვნებსა და მოხსენებებში, რაც ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული. შესაბამისად, კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და რეზერვების ეფექტიანად გამოყენების საკითხი.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების სრულად და ეფექტიანად ათვისება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საჭირო პროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას. ამასთანავე, გამოკვლეულ უნდა იქნეს ბიუჯეტის შესრულებლობის გამომწვევი მიზეზები და გატარდეს სათანადო ღონისძიებები.
- J ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებზე, რის გამოც შემოსულობების გეგმა წლის განმავლობაში რამდენჯერმე შემცირდა. წლიური გეგმის შესრულების წარმოსაჩენად, 2020 წლის 23 დეკემბერს რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესული ცვლილებებით საბიუჯეტო გეგმა უკვე ფაქტობრივ ფისკალურ მონაცემებს მიესადაგა. შედეგად, 2020 წლის შემოსულობების ჯამურმა მაჩვენებელმა 278,656.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური შემცირებული გეგმის 102.0%-ია. შემცირებული გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, შემოსულობების თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით ცალკეული კომპონენტის მიხედვით შესრულების მაჩვენებლები განსხვავებულია. მაგალითად, რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი გეგმით, „ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ გეგმური მაჩვენებელი განსაზღვრული არ ყოფილა იმ პირობებში, როდესაც 2019 წლის ფაქტობრივმა შემოსულობამ 3,295.9 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წლის ფაქტმა – 3,027.3 ათასი ლარი.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია გაკეთდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების საფუძვლიანი ანალიზი და სისტემურობისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.

.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 37 საწარმოდან, 2020 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 2 საწარმოს, საიდანაც შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიერ გადახდილი დივიდენდის წილი 81.4%-ს შეადგენს. არსებული მონაცემები მიუთითებს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მენეჯმენტში არსებულ პრობლემებზე. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, დივიდენდის მობილიზების ნაწილში დიდი გავლენა იქონია ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ, რამაც შეაფერხა მათი საქმიანობა და შესაბამისად, შემცირდა მათი მომგებიანობის მაჩვენებელი. სამინისტროს განმარტება ნაკლებად საფუძვლიანია, რადგან ბოლო წლების მონაცემები ადასტურებს, რომ საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამდეც წამგებიანი იყო და მათი მხრიდან დივიდენდების გადახდა არ ფიქსირდება. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადრე გაცემული რეკომენდაციები, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული. კერძოდ, განხორციელდა ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი/არაფუნქციონირებადი) ინფორმაციის განახლება, დაიწყო მუშაობა საწარმოების კუთვნილი აქტივების მოძიებისა და აღრიცხვის მიმართულებით, ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები და სხვ. ამასთანავე, არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი აქტივების სრული აღრიცხვა და დაცულობა, არ ხდება საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ., რაც საწარმოების მენეჯმენტში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს და შესაბამისად, განაპირობებს უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მაკონტროლებელმა სამინისტროებმა, საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანი გამოყენებით, უნდა უზრუნველყონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში უკეთესი მენეჯმენტის განხორციელება; ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე,

დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს ხედვა, არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

- ქ) 2020 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ 291,463.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 95.6%-ია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში მუდმივად აღინიშნება ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების ათვისების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, რაც ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მეტ-ნაკლები შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა, 2020 წლის დეკემბერში გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 210.7% შეადგინა. აღნიშნული უკავშირდება წლის განმავლობაში გადასახდელების/მისი ცალკეული კომპონენტის ათვისების ჩამორჩენასთან კვარტალურ გეგმებს და რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულ თანხებს.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მათი მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან, საკითხის დეტალური შესწავლისა და ფაქტებზე შესაბამისი რეაგირებით უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება. აღნიშნული მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს როგორც ბიუჯეტის შესრულების რეალური მაჩვენებლებით წარმოჩენას, ასევე საბიუჯეტო რესურსის მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვას.
- ქ) მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით, 2020 წლის ბოლოს განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებებით, გადასახდელების გეგმური პარამეტრი შემცირდა 45,337.5 ათასი ლარით, ხარჯების საკასო შესრულება მაინც 9,250.4 ათასი ლარით ჩამორჩა გეგმურ მაჩვენებელს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულება – 3,917.6 ათასი ლარით. მათ შორის, დაზუსტებული გეგმის 60%-ზე ნაკლები ათვისების მაჩვენებელი გააჩნია 8 პროგრამას/ქვეპროგრამას. მათ შორის არის შემთხვევები, როდესაც თანხები არ იქნა ათვისებული ან ათვისებულია

20%-ის ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია, რომ გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები სხვა საჭიროებებზე არ მიმართულა.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ პროგრამების შემუშავება განხორციელდეს მიზანშეწონილობის სათანადო შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, ხოლო პროგრამის შესრულებისას წარმოქმნილი შეზღუდვების შემთხვევაში, გამოკვლეულ იქნეს მიზეზები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, გამოთავისუფლებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ახალი პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები 322,094.3 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები – 350,094.3 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ნაშთის ცვლილების წლიური გეგმა 28.000.0 ათას ლარს შეადგენდა.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებზე, რის გამოც შემოსულობების გეგმა წლის განმავლობაში რამდენჯერმე შემცირდა, რამაც ასევე გადასახდელების გეგმის კორექტირება განაპირობა. კერძოდ, 2020 წლის აპრილში რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილებები,¹ რის შედეგად შემოსულობების გეგმა 1.1%-ით, ანუ 3,500.0 ათასი ლარით შემცირდა და 318,594.3 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელების გეგმა, წინა წლის ფაქტობრივი ნაშთის გათვალისწინებით, უცვლელი დარჩა (ნაშთის ცვლილების წლიური გეგმა გაიზარდა 3,500.0 ათასი ლარით და 31,500.0 ათასი ლარი შეადგინა).

2020 წლის აგვისტოში რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით,² 11,619.7 ათასი ლარით შემცირებულ იქნა როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების გეგმა და შესაბამისად, შემოსულობებმა 306,974.6 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 338,474.6 ათასი ლარი შეადგინა.

2020 წლის დეკემბერში რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში კიდევ განხორციელდა ცვლილებები,³ რის შედეგად შემოსულობების და გადასახდელების გეგმა, თითოეული – 33,717.8 ათასი ლარით შემცირდა. სულ თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით, განხორციელებული სამი ცვლილების შედეგად, ჯამში შემოსულობები შემცირებულ იქნა 48,837.5 ათასი ლარით და 273,256.8 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელები შემცირებულ იქნა 45,337.5 ათასი ლარით და 304,756.8 ათასი ლარი შეადგინა. ბოლო ცვლილება განხორციელებულია ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულების მონაცემების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, შემოსულობების საკასო შესრულებამ გადააჭარბა

¹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 111-უ.ს.გ.ს. 30/04/2020.

² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 132-უ.ს.რ.ს. 08/08/2020.

³ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 15-რ.ს. 23/12/2020.

ცვლილებების შედეგად განსაზღვრულ გეგმას და 102.0% შეადგინა, ხოლო გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა – წლიური დაზუსტებული გეგმის 95.6%.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - ბოლო ცვლილებამდე (2)	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (3)	ცვლილება (3)-(1)	2020 წლის ფაქტი (4)	შესრულება (4)/(1) (%)	შესრულება (4)/(3) (%)
შემოსულობები	322,094.3	306,974.6	273,256.8	-48,837.5	278,656.8	90.8%	102.0%
გადასახდელები	350,094.3	338,474.6	304,756.8	-45,337.5	291,463.6	86.1%	95.6%
ნაშთის ცვლილება	28,000.0	31,500.0	31,500.0	3,500.0	12,806.8	40.7%	40.7%

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის ცვლილების წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმური მაჩვენებელი შესრულებულია 40.7%-ით. ზემოაღნიშნული დაკავშირებულია წლის განმავლობაში გადასახდელების/მისი ცალკეული კომპონენტის ათვისების ჩამორჩენასთან კვარტალურ გეგმებთან მიმართებით და რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულ თანხებთან.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 12,806.1 ათასი ლარით შემცირდა და 21,671.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმური მაჩვენებლის 40.7%-ია.

დიაგრამა 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა წლების მიხედვით (მლნ ლარი)



დიაგრამიდან ჩანს, რომ წლების მანძილზე გამოუყენებელი რჩებოდა მნიშვნელოვანი თანხები, თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შემდგომ დაიწყო ნაშთის შემცირება, კერძოდ: წინა წელთან შედარებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შემცირდა 5.4 მლნ ლარით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 55.6 მლნ ლარით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 18.1 მლნ ლარით, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 12.8 მლნ ლარით. მიუხედავად წინა წლებთან შედარებით ნაშთის შემცირებისა, კვლავ რჩება აუთვისებელი თავისუფალი სახსრები წლის ბოლოს, რომლის ყოველთვიური მაჩვენებელი შემდეგია:

დიაგრამა 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



დიაგრამა 2-ზე ნათლად ჩანს, რომ 2020 წელს ყოველთვიურად ირიცხება მოცულობითი ნაშთი, ხოლო დეკემბერში შედარებით მცირდება. ხაზინის ინფორმაციით, 2020 წლის დეკემბერში გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 210.7% შეადგინა, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდაში – 306.7%. აღნიშნული დაკავშირებულია წლის განმავლობაში გადასახდელების/მისი ცალკეული კომპონენტის ათვისების ჩამორჩენასთან კვარტალურ გეგმებთან მიმართებით და რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულ თანხებთან (6,266.3 ათასი ლარი).⁴ ამასთანავე, თუ დეკემბერში არ განხორციელდებოდა საავანსო ანგარიშსწორებები, მაშინ 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთი კიდევ უფრო მეტი, არანაკლებ – 28,000.0 ათასი ლარი დარჩებოდა.

⁴ ფაქტობრივად არ არის დამოწმებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების სრულად და ეფექტიანად ათვისება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საჭირო პროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას. ამასთანავე, გამოკვლეულ უნდა იქნეს ბიუჯეტის დროულად შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევა და გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2020 წელს მიღებული შემოსავლების მოცულობამ 247,884.2 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 101.9% შეადგინა, რაც 15.9 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 2. შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

შემოსავლები	დაზუსტებული გეგმა (1)	საკასო შესრულება (2)	გადახრა (2)-(1)	გეგმის შესრულება (2)/(1)
გადასახადები	232,600.0	237,232.7	4,632.7	102.0%
სხვა შემოსავლები	10,589.7	10,651.6	61.9	100.6%
სულ:	243,189.7	247,884.2	4,694.6	101.9%


3.1 გადასახადები

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი გადასახადებზე, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადზე მოდის და მთლიანი შემოსავლების 95.7%-ს შეადგენს. ხაზინის მონაცემებით, 2020 წელს მიღებული საშემოსავლო გადასახადის მოცულობამ 237,232.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური შემცირებული გეგმის 102.0%-ია და 13.7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით საშემოსავლო გადასახადის წლიური შესრულება 81.8%-ს შეადგენს.

გადასახადების დაზუსტებული გეგმის შესრულება მნიშვნელოვნად განაპირობა 2020 წლის 1-18 დეკემბრის პერიოდში რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო, შემცირებული საშემოსავლო გადასახადის კომპენსაციის სახით დამატებით ჩარიცხულმა 12,600.0 ათასმა ლარმა. სახაზინო სამსახურის უფლებამოსილი პირის განმარტებიდან ირკვევა, რომ პანდემიის გამო საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით დადგენილი შეღავათების შედეგად, 2020 წლის ივლისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშებიდან ჩამოიჭრა და გადასახადის გადამხდელებს დაუბრუნდა 12,600.0 ათასი ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ 2020 წლის დეკემბერში განხორციელდა საბიუჯეტო დანაკლისის კომპენსაცია და თანხის ნაწილი – 6,571.3 ათასი ლარი, 2020 წლის 1 დეკემბერს

დაბრუნდა რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშებზე, ხოლო მეორე ნაწილი – 6,028.7 ათასი ლარი, 2020 წლის 18 დეკემბრამდე.

დიაგრამა 3. საშემოსავლო გადასახადი 2016-2020 წლებში (ათასი ლარი)



წარმოდგენილი დიაგრამიდან ჩანს, რომ ბოლო წლებში მზარდია საშემოსავლო გადასახადის სახით მოხილვებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა, თუმცა 2020 წელს ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემოსავლების მოცულობაზე და 2020 წელი, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვანი კლებით აღინიშნა.

3.2 სხვა შემოსავლები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით „სხვა შემოსავლების“ წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 10,589.7 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო მოხილვებული სახსრების ოდენობამ 10,651.6 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი 3. სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (2)	2020 წლის ფაქტი (3)	გადახრა (3)-(1)	გადახრა (3)-(2)	შესრულება (%) (3)/(2)
შემოსავლები საკუთრებიდან	10,650.0	7,337.6	7,244.5	-3,405.5	-93.1	98.7%
პროცენტები	7,000.0	5,350.0	5,367.8	-1,632.2	17.8	100.3%
დივიდენდები	1,500.0	750.0	739.9	-760.1	-10.1	98.7%
რენტა	2,150.0	1,237.6	1,136.8	-1,013.2	-100.8	91.9%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	500.0	304.9	366.5	-133.5	61.6	120.2%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	100.0	22.2	13.3	-86.7	-8.9	59.8%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0	2,925.0	3,027.3	3,027.3	102.3	103.5%
სულ სხვა შემოსავლები:	11,250.0	10,589.7	10,651.6	-598.4	61.9	100.6%

ცხრილიდან ჩანს, რომ „სხვა შემოსავლების“ შემცირებული გეგმის შესრულების მაჩვენებელი 100.6%-ს შეადგენს. მოპოვებული დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ „სხვა შემოსავლების“ გეგმის შესრულების წარმოსაჩენად, 2020 წლის 23 დეკემბერს რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესული ცვლილებებით,⁵ საბიუჯეტო გეგმა ფაქტობრივ ფისკალურ მონაცემებთან იქნა მისადაგებული.

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით „სხვა შემოსავლები“ შესრულებულია 94.7%-ით, თუმცა ცალკეული კომპონენტის მიხედვით შესრულების მაჩვენებლები განსხვავებულია. მაგალითად, რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი გეგმით, „ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ გეგმური მაჩვენებელი განსაზღვრული არ ყოფილა იმ პირობებში, როდესაც 2019 წლის ფაქტობრივმა შემოსულობამ 3,295.9 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წლის ფაქტმა – 3,027.3 ათასი ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მაჩვენებლების წინა წლების შედეგების ანალიზის გარეშე განსაზღვრასთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა პერიოდის დასკვნებსა და მოხსენებებში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციებიც, თუმცა რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული, ხოლო მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

მოპოვებული ინფორმაციით, „ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ შედგება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოების, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლებისაგან. მართალია, ამ ტიპის შემოსავლების ზუსტად განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია, თუმცა ასეთი მოცულობის გადახრის არსებობა მიუთითებს, რომ ბიუჯეტის დაგეგმისას სათანადოდ არ ხდება წინა წლებში ფაქტობრივად მიღებული თანხებისა და არსებული გამოწვევების გაანალიზება და საბიუჯეტო პარამეტრების შესაბამისად განსაზღვრა.


➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია გაკეთდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების საფუძვლიანი ანალიზი და სისტემურობისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.

⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 15-რ.ს. 23/12/2020.

3.2.1 დივიდენდები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მისაღები დივიდენდების წლიური გეგმა 750.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო შესრულებამ 739.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 98.7%-ია და 1,807.5 ათასი ლარით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

დიაგრამა 4. 2015-2019 წლების დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი)




2020 წელს დივიდენდების სახით იგეგმებოდა 2,500.0 ათასი ლარის მობილიზება, საიდანაც მნიშვნელოვანი წილი შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ გადასახდელი დივიდენდი იყო. აღნიშნულმა კომპანიამ 2020 წლის სექტემბერში⁶ ითხოვა, განხილულიყო საწარმოს მოგების (1,735.4 ათასი ლარი) გაუნაწილებლად დატოვების საკითხი. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ საკითხი დაკმაყოფილდა, რის გამოც დივიდენდების საპროგნოზო მოცულობა შემცირდა 750.0 ათას ლარამდე. სამინისტროს განმარტებით, შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით მნიშვნელოვან პროექტებს, ხოლო თანხები – კომპანიას ესაჭიროება პროექტების შეუფერხებლად წარმართვისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არ უმსჯელია, რაც საბიუჯეტო პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

წარმოდგენილი ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 37 საწარმოდან, 2020 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 2 საწარმოს, საიდანაც შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიერ გადახდილი დივიდენდის წილი 81.4%-ს (602.4 ათასი ლარი) შეადგენს. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, დივიდენდის მობილიზების ნაწილში დიდი გავლენა იქონია ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ, რამაც შეაფერხა კომპანიების საქმიანობა და

⁶ შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ წერილი N345-2020, 17/09/2020.

შესაბამისად, შემცირდა მათი მომგებიანობის მაჩვენებელი, თუმცა ბოლო წლების მონაცემები მიუთითებს, რომ საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა პანდემიამდეც წამგებიანი იყო და მათი მხრიდან დივიდენდების გადახდა არ დასტურდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან მიმართებით შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის დივიდენდების შემცირება მნიშვნელოვნად გამოწვეულია იმით, რომ პანდემიის გამო სავაჭრო ცენტრი მხოლოდ პერიოდულად ფუნქციონირებდა.

დიაგრამა 5. დივიდენდების შესრულების მონაცემები საწარმოების მიხედვით (ათასი ლარი)



მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადრე გაცემული რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული. კერძოდ, განხორციელდა ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი/არაფუნქციონირებადი) ინფორმაციის განახლება, დაიწყო მუშაობა საწარმოების კუთვნილი აქტივების მოძიებისა და აღრიცხვის მიმართულებით, ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები და სხვ. ამასთანავე, არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი აქტივების სრული აღრიცხვა და დაცულობა, არ ხდება საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ., რაც საწარმოების მენეჯმენტში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს და შესაბამისად, განაპირობებს უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მაკონტროლებელმა სამინისტროებმა, საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანი გამოყენებით, უნდა უზრუნველყონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში უკეთესი მენეჯმენტის განხორციელება; ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და

ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს ხედვა, არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

4. არაფინანსური აქტივების კლება

რესპუბლიკურ ბიუჯეტში 2020 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა თანხებმა 10,049.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 107.5%-ია და 3,079.2 ათასი ლარით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 4. არაფინანსური აქტივების კლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

არაფინანსური აქტივების კლება	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (2)	2020 წლის ფაქტი (3)	გადახრა (3)-(2)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(2)
ძირითადი აქტივები	200.0	4,085.0	4,591.5	506.5	2295.7%	112.4%
მატერიალური მარაგები		123.0	216.6	93.6		176.1%
არაწარმოებული აქტივები	20,644.3	5,136.3	5,241.7	105.4	25.4%	102.1%
ჯამი:	20,844.3	9,344.3	10,049.8	705.5	48.2%	107.5%

ცხრილიდან ჩანს, რომ „არაფინანსური აქტივების კლების“ დაზუსტებული ბიუჯეტი შესრულებულია 107.5%-ით (დაზუსტებულ გეგმას აღემატება 705.5 ათასი ლარით), თუმცა თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით შესრულების მაჩვენებელი დაბალია და 48.2%-ს შეადგენს (10,794.5 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ პარამეტრს). ბიუჯეტის მაღალი მაჩვენებლებით შესრულების წარმოსაჩენად, 2020 წლის დეკემბერში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, საბიუჯეტო გეგმა ფაქტობრივ ფისკალურ მონაცემებთან იქნა მისადაგებული.

2020 წელს ძირითადი აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებულია 4,591.5 ათასი ლარი, რაც წლის ბოლოს კორექტირებული გეგმის 112.4%-ია, თუმცა მნიშვნელოვნად აღემატება ბიუჯეტის თავდაპირველი გეგმით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელს. განსხვავებით არაწარმოებული აქტივების კლებისა, სადაც მართალია, შემცირებული წლიური გეგმა შესრულებულია 102.1%-ით, თუმცა თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით შესრულება შეადგენს 25.4%-ს. ზემოაღნიშნული ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ არსებით ნაკლოვანებებზე მიუთითებს, რაც, მათ შორის, საპრივატიზებო გეგმის არარსებობის შედეგია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის ანგარიშში ბიუჯეტის თავდაპირველ საპროგნოზო მაჩვენებლებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ გადახრებთან დაკავშირებით, განმარტებები არ არის წარმოდგენილი.

2020 წელს მატერიალური მარაგების რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტში მობილიზებულია 216.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 176.1%-ია და 72.9 ათასი ლარით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე. აღნიშნული შემოსულობა წარმოადგენს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, თანაგადახდის პრინციპით გადახდილ თანხებს. სამინისტროს განმარტებით, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონლის ბენეფიციარებზე გაცემის პროცესის შეფერხება, რაც გამოიწვევდა საქონლის ნაწილის მომდევნო წელს გაცემას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს შემოსავლების ნაწილში დაიგეგმა მინიმალური საპროგნოზო მაჩვენებელი, თუმცა განხორციელდა გათვალისწინებულზე მეტი საქონლის მიწოდება ბენეფიციარებზე, რამაც დაგეგმილზე მეტი შემოსავლების მიღება განაპირობა. სამინისტროს არგუმენტაცია ნაკლებად საფუძვლიანია და პროგრამების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიისა და მისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ეფექტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნეს პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის, არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით და ახალი რესურსების მოძიების გზით.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2020 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ 291,463.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 95.6%-ია და 10.6%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2020 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (2)	2020 წლის ფაქტი (3)	გადახრა (2)-(3)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(2)
გადასახდელები	350,094.3	304,756.8	291,463.6	13,293.2	95.6%
ხარჯები	246,605.1	222,822.7	213,572.3	9,250.4	95.8%
შრომის ანაზღაურება	39,204.9	38,250.3	37,007.5	1,242.8	96.8%
საქონელი და მომსახურება	44,841.1	62,306.0	57,748.1	4,557.9	92.7%
პროცენტი	1,144.7	1,072.0	715.4	356.7	66.7%
სუბსიდიები	8,453.0	7,857.8	7,088.9	768.9	90.2%
გრანტები	66,891.8	55,902.8	55,770.7	132.1	99.8%
სოციალური უზრუნველყოფა	15,225.3	17,992.0	17,823.7	168.3	99.1%
სხვა ხარჯები	70,844.3	39,441.7	37,418.0	2,023.7	94.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	101,027.4	79,303.1	75,385.5	3,917.6	95.1%
ვალდებულებების კლება	2,461.8	2,631.0	2,505.8	125.2	95.2%

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში მუდმივად აღინიშნება ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების ათვისების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, რაც ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები მეტ-ნაკლები შემცირების ტენდენციით გამოირჩეოდა, 2020 წლის დეკემბერში გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 210.7% შეადგინა, მათ შორის, ვალდებულებების კლებაში – 606.4%. მოპოვებული ინფორმაციით, „ვალდებულებების კლების“ მუხლით გაწეული გადასახდელების ზრდა გამოწვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KFW) მიღებული სესხის დაბრუნებაზე გადახდილი 890.5 ათასი ლარით, რომლის წლიური საკასო შესრულების 54.0% განხორციელდა დეკემბერში. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ქალაქ ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია.

ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი აუთენტიკობა ორგანიზაციების მიერ პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებული ხარვეზების შედეგია. საყურადღებოა, რომ ფისკალური წლის დასასრულს, ზრდა შეიმჩნევა გადასახდელების ყველა კომპონენტში, გარდა გრანტებისა.


ცხრილი 6. გადასახდელების შესრულება დეკემბერში (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის ფაქტი (1)	2020 წლის 11 თვის ფაქტი (2)	2020 წლის დეკემბრის ფაქტი (3)	2020 წლის 11 თვეში საშუალო ათვისება (4)	დეკემბრის მაჩვენებლის ფარდობა 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან (%) (3)/(4)
გადასახდელები	291,463.6	244,618.0	46,845.6	22,238.0	210.7%
ხარჯები	213,572.3	184,053.9	29,518.3	16,732.2	176.4%
შრომის ანაზღაურება	37,007.5	33,770.3	3,237.2	3,070.0	105.4%
საქონელი და მომსახურება	57,748.1	45,731.2	12,017.0	4,157.4	289.1%
პროცენტი	715.4	563.9	151.4	51.3	295.4%
სუბსიდიები	7,088.9	4,135.8	2,953.1	376.0	785.4%
გრანტები	55,770.7	51,509.3	4,261.4	4,682.7	91.0%
სოციალური უზრუნველყოფა	17,823.7	15,935.5	1,888.2	1,448.7	130.3%
სხვა ხარჯები	37,418.0	32,407.9	5,010.1	2,946.2	170.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	75,385.5	58,948.8	16,436.7	5,359.0	306.7%
ვალდებულებების კლება	2,505.8	1,615.3	890.5	146.8	606.4%

2020 წლის დეკემბერში გადასახდელების მკვეთრი ზრდა დაკავშირებულია წლის განმავლობაში გადასახდელების/მისი ცალკეული კომპონენტის ათვისების ჩამორჩენასთან

კვარტალურ გეგმებთან მიმართებით და რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულ თანხებთან (6,266.3 ათასი ლარი).⁷

დიაგრამა 6. გადასახდელების კვარტალური/წლიური შესრულება



დიაგრამიდან ჩანს, რომ წლის განმავლობაში იყო ჩამორჩენა გადასახდელების კვარტალური გეგმების შესრულებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება წლიური გეგმის შესრულების შედარებით მაღალ მაჩვენებელს, როგორც უკვე აღინიშნა, ის გამოწვეულია 2020 წლის 23 დეკემბრის საბიუჯეტო ცვლილებებით, რომლის შედეგად გეგმური პარამეტრები მიესადაგა გადასახდელების შესრულების ფაქტობრივ მონაცემებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მათი მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან, საკითხის დეტალური შესწავლისა და ფაქტებზე შესაბამისი რეაგირებით უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც ბიუჯეტის შესრულების რეალური მაჩვენებლებით წარმოჩენის, ასევე საბიუჯეტო რესურსის მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

5.1 ხარჯები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 73.3% (213,572.3 ათასი ლარი) ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 95.8%-ია და 11.8%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

⁷ ფაქტობრივად არ არის დამოწმებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ცხრილი 7. ხარჯების გეგმის შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის დაზისტებული გეგმა (1)	2020 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	ბიუჯეტის შესრულება (2)/(1)
შრომის ანაზღაურება	38,250.3	37,007.5	1,242.8	96.8%
საქონელი და მომსახურება	62,306.0	57,748.1	4,557.9	92.7%
პროცენტი	1,072.0	715.4	356.670	66.7%
სუბსიდიები	7,857.8	7,088.9	768.9	90.2%
გრანტები	55,902.8	55,770.7	132.1	99.8%
სოციალური უზრუნველყოფა	17,992.0	17,823.7	168.3	99.1%
სხვა ხარჯები	39,441.7	37,418.0	2,023.7	94.9%
სულ ხარჯები:	222,822.7	213,572.3	9,250.4	95.8%

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის ბოლოს განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებებით, გეგმური პარამეტრები განისაზღვრა ბიუჯეტის შესრულების ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინებით, ხარჯების საკასო შესრულება მაინც 9,250.4 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ მაჩვენებელს. ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად იმით აიხსება, რომ პროგრამები დაგეგმილია ხარვეზებით, შესყიდვების შედეგად მიღებულია ეკონომიები და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სახელშეკრულებო ვადებში არაა შესრულებული, მაგალითად:

- შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“, რომელიც რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება „სხვა ხარჯების“ მუხლით, ახორციელებდა ღონისძიებას – ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სანიტარიულ ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის მიერთების მოწყობის სამშენებლო სამუშაოები, სადაც 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული 620.0 ათასი ლარი ვერ იქნა ათვისებული. მოპოვებული ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდგომ გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რაც მოითხოვდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებებს. პროექტის კორექტირება შესაბამის ექსპერტიზის დასკვნებთან ერთად დასრულდა 2020 წლის დეკემბერში, რის გამოც სამუშაოები წინასწარ განსაზღვრული მოცულობით 2020 წელს ვერ შესრულდა. ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს, კერძოდ, პროექტის დაგეგმვის ეტაპზე სათანადოდ არ შეფასდა მოსალოდნელი შეზღუდვები.

- „ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისათვის საჭირო ქონების გამოსყიდვის სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემის“ პროგრამაში, „სხვა ხარჯების“ მუხლით აუთვისებული დარჩა 488.9 ათასი ლარი. ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებლის მიზეზები მთავრობის ანგარიშში განმარტებული არ არის. მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების/მოსარგებლეების ნაწილთან კომპენსაციის ოდენობაზე შეუთანხმებლობის გამო, ვერ გაფორმდა ხელშეკრულება, ხოლო მათი ნაწილი საკომპენსაციო თანხების გაზრდაზე დავობს სასამართლო წესით. ასევე პროგრამის ბენეფიციარების ნაწილს დავა აქვთ ერთმანეთთან მიწის ნაკვეთის სარგებლობასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმებულია, თუმცა ბენეფიციარი უარს აცხადებს თანხის მიღებაზე. ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ მხარჯავმა დაწესებულებამ ისე განსაზღვრა პროგრამის მოცულობა, რომ საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ ჰქონდა.
- „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით აუთვისებული დარჩა 776.4 ათასი ლარი. მოპოვებული ინფორმაციით, ეკონომიის მთავარი მიზეზი 2020 წელს დიზელის საწვავზე ფასის კლება გახდა. გარდა ამისა, 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი იყო თოვლის სახით ნალექის მოსვლის შემთხვევაში, თოვლის საფარისაგან საავტომობილო გზების სავალი ნაწილის წმენდითი სამუშაოები. ვინაიდან აღნიშნული სამუშაოების ჩატარების საჭიროება არ დადგა, სხვადასხვა ღონისძიებაში⁸ თანხები არ გახარჯულა.

5.1.1 შრომის ანაზღაურება

2020 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჯარო მოსამსახურეთა ხელფასზე სულ გაიხარჯა 48,466.0 ლარის ხარჯი. მათ შორის, „შრომის ანაზღაურებამ“ შეადგინა 37,007.5 ათასი ლარი (1,078.0 ათასი ლარით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს), ხოლო „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ“⁹ – 11,458.5 ათასი ლარი (3,021.7 ათასი ლარით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს). შრომის ანაზღაურების მთლიანი სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

⁸ საწვავ-საპოხი მასალები, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯები, სპეც. ტექნიკის დაქირავების ხარჯები.

⁹ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება.

ცხრილი 8. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის ფაქტი (1)	2020 წლის დაზუსტებული გეგმა (2)	2020 წლის ფაქტი (3)	გადახრა (2)-(3)	ზრდა/კლება (3)-(1)	შესრულება (3)/(2)
შრომის ანაზღაურება	35,929.5	38,250.3	37,007.5	1,242.8	1,078.0	96.8%
თანამდებობრივი სარგო	34,965.6		36,749.0		1,783.4	
ჯილდო/პრემია	883.8		34.5		-849.3	
დანამატი	80.1		224.1		144.0	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	8,436.8		11,458.5		3,021.7	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო	8,278.4		11,453.3		3,174.9	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჯილდო/პრემია	156.9		-		-156.9	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დანამატი	1.6		5.2		3.6	
სულ ხელფასი:	44,366.3		48,466.0		4,099.7	

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2020 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ჯამური ხარჯი 4,099.7 ათასი ლარით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს.

ცხრილი 9. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები 2019-2020 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის ფაქტი		2020 წლის ფაქტი		გადახრა	
	შრომის ანაზღაურება	შრომ. ხელშ. დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	შრომის ანაზღაურება	შრომ. ხელშ. დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	შრომის ანაზღაურება	შრომ. ხელშ. დასაქმებულ პირთა ანაზღაურება
უმაღლესი საბჭო	3,382.3	908.9	3,311.8	865.6	-70.5	-43.3
უმაღლესი საარჩევნო კომისია	581.7	17.8	2,060.6	170.9	1,478.8	153.1
მთავრობა	1,801.0	647.4	1,717.1	610.4	-84.0	-37.0
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	5,238.8	3,549.5	4,981.7	3,917.6	-257.2	368.1
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	17,860.5	1,572.1	17,864.7	1,679.3	4.3	107.2
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,314.9	340.0	2,312.8	2,356.7	-2.1	2,016.7
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	4,750.2	1,401.2	4,758.9	1,858.1	8.6	456.9
ჯამი:	35,929.5	8,436.8	37,007.5	11,458.5	1,078.0	3,021.7

მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ ხელფასის ხარჯების ზრდა ძირითადად განპირობებულია უმაღლესი საარჩევნო კომისიისა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელფასო დანახარჯების ზრდით. კერძოდ, უმაღლესი საარჩევნო კომისიის სახელფასო ხარჯები 2019 წელთან შედარებით, ჯამში გაზრდილია 1,631.9 ათასი

ლარით, რაც გამოწვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა რაოდენობის ზრდით.

2019 წელთან მიმართებით, 2,016.7 ათასი ლარით გაზრდილია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, საიდანაც 1,839.1 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია „ქალაქ ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს აღჭურვა, ფუნქციონირება, რისკჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სამედიცინო პერსონალის ანაზღაურებაზე. დაფინანსების მიზანშეწონილობა დადგა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო.

2019 წელთან შედარებით, 456.9 ათასი ლარითაა გაზრდილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება. მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობისა და შრომითი ურთიერთობის პერიოდის გაზრდით. კერძოდ, ქვეპროგრამის – „აგრარული ექსტენციის მიწოდების“ ფარგლებში დასაქმებულ პირებთან 2019 წელს ხელშეკრულება გაფორმებული იყო 6 თვის ვადით, ხოლო 2020 წელს, პროგრამაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით – 10 თვის ვადით. ასევე ქვეპროგრამის – „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვის“ ფარგლებში 2020 წელს, 2019 წლისგან განსხვავებით, 12 თვის ვადით დაქირავებული იყო 15 მეცნიერ-მკვლევარი (გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 99.0 ათასი ლარი).

5.2 არაფინანსური აქტივების ზრდა

2020 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გადახდამ 75,385.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული მაჩვენებლის 95.1%-ია და 6,145.5 ათასი ლარით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებზე, რამაც ასევე განაპირობა გადასახდელების, მათ შორის, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ გეგმის კორექტირება. კერძოდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით, დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებელი შემცირებულია 21,724.3 ათასი ლარით, ხოლო გადახდა თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით შეადგენს 74.6%-ს. „არაფინანსური აქტივების ზრდის“ გეგმის

არსებითი შემცირების გამო, 2020 წელს არ განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის, მხოლოდ გზების რეაბილიტაციის ბიუჯეტი შემცირდა 11,243.1 ათასი ლარით.¹⁰ შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების რამდენიმე სოფელში არ განხორციელდა გზების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ბიუჯეტის შემცირების გამო, 2020 წელს ასევე ვერ იქნა შესყიდული აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების (ბეშუმის, გოდერძისა და გომარდულის) ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები,¹¹ შედეგად ვერ იქნა შემუშავებული კურორტების განვითარების კონცეფცია, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, 2020 წელს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ათვისებული საბიუჯეტო რესურსის მოცულობა 3,917.6 ათასი ლარით ჩამორჩა შემცირებულ გეგმურ მაჩვენებელს. მოპოვებული დოკუმენტაციით, აღნიშნულის ძირითადი მიზეზი პროგრამების დაგეგმვაში არსებული ხარვეზებია, ასევე კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები. მაგალითად:

- „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში ათვისებული დარჩა 1,140.5 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. შესაბამისი ხელშეკრულებით,¹² მიმწოდებელს 2020 წელს უნდა შესრულებინა 8,500.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. სამინისტროს განმარტებით, კომპანიას ჰქონდა სამუშაოების წინსწრებით შესრულების მოლოდინი, რის გამოც, სამუშაოების შეფერხებების გარეშე დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ბიუჯეტში განისაზღვრა დამატებითი სახსრები, რაც მიმწოდებელმა ვერ შეასრულა. ზემოაღნიშნული სამინისტროს პროგრამების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.
- „გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში ათვისებული დარჩა 939.8 ათასი ლარი, რაც ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაბამისი

¹⁰ 04140201 - გზების რეაბილიტაცია.

¹¹ 04010303 - აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება.

¹² სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N15, 13/02/2020 (NAT190025735).

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების სახელშეკრულებო ვადებში შეუსრულებლობით. მოპოვებული ინფორმაციით, სამუშაოების შესრულების დაყოვნება მნიშვნელოვნად გამოწვეულია კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით, ასევე რიგი შესყიდვების პროცედურების დაგვიანებით დაწყებითა და სხვა გარემოებებით.

- „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 532.2 ათასი ლარი, რაც განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში ფაქტობრივად მიწოდებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებით, ასევე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ტექნიკურ და საავტორო ზედამხედველობაზე წარმოქმნილი ეკონომიებით.

მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლოს დაზუსტებულ საბიუჯეტო გეგმასა და შესრულების მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობებია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან არ ხორციელდება მიზეზების ეფექტიანი კვლევა და ადეკვატური ღონისძიებების გატარება, რაც პროგრამების არაჯეროვან შესრულებას განაპირობებს.

6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, 2020 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (98.8%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – უმაღლეს საბჭოს (91.8%).

ცხრილი 10. გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის დაზუსტებული გეგმა (1)	2020 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	შესრულება (2)/(1)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	5,116.8	4,699.2	417.6	91.8%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	2,597.0	2,508.4	88.6	96.6%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	2,793.5	2,727.4	66.1	97.6%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	108,324.1	102,391.9	5,932.3	94.5%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	45,984.0	42,374.3	3,609.8	92.1%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	30,271.6	29,912.8	358.7	98.8%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	15,420.8	14,861.2	559.6	96.4%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	94,248.9	91,988.4	2,260.5	97.6%
ჯამი:	304,756.8	291,463.6	13,293.2	95.6%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2020 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 13,293.2 ათასი ლარი, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წილი 5,932.3 ლარს შეადგენს, რაც ძირითადად გამოწვეულია შემდეგით:

„სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 1,140.5 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. შესაბამისი ხელშეკრულებით,¹³ მიმწოდებელს 2020 წელს უნდა შეესრულებინა 8,500.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. სამინისტროს განმარტებით, კომპანიას ჰქონდა სამუშაოების წინსწრებით შესრულების მოლოდინი, რის გამოც, სამუშაოების შეფერხებების გარეშე დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ბიუჯეტში განისაზღვრა დამატებითი სახსრები. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა პირობა ვერ შეასრულა, რის გამოც აუთვისებელი დარჩა 1,140.5 ათასი ლარი. ზემოაღნიშნული სამინისტროს პროგრამების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

„ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებებში“, რომელსაც ახორციელებს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, აუთვისებელი დარჩა 1,376.4 ათასი ლარი. მოპოვებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ წლის ბოლოს მნიშვნელოვნად იკლო კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ, ასევე შეიცვალა საზღვრის კვეთის რეგულაციები და მოქალაქეებს მიეცათ უფლება, ნაცვლად საკარანტინე ზონისა, თვითიზოლაცია გაეკლოთ საკუთარ სახლში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საკარანტინე ზონების დატვირთულობა და შესაბამისად, საბიუჯეტო დანახარჯები.

2020 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს¹⁴ მიერ ვერ იქნა ათვისებული 3,609.8 ათასი ლარი. მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვენტარით აღჭურვისა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 764.8 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

¹³ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N15, 13/02/2020 (NAT190025735).

¹⁴ სამინისტროს სისტემა მოიცავს 30 საბიუჯეტო ორგანიზაციას.

- „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამაში აუთვისებული დარჩა 532.2 ათასი ლარი, რაც განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში ფაქტობრივად მიწოდებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებით, ასევე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ტექნიკურ და საავტორო ზედამხედველობაზე წარმოქმნილი ეკონომიებით;
- „საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამაში აუთვისებული დარჩა 174.4 ლარი. მათ შორის, 157.4 ათასი ლარი განსაზღვრული იყო 11 საჯარო სკოლის სასკოლო ავეჯითა და ინვენტარით აღჭურვაზე, რაც არ განხორციელდა, რადგან სასკოლო ინვენტარის შეძენის მიზნით საქართველოს მთავრობას დაგეგმილი ჰქონდა კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადება, თუმცა აღნიშნული ტენდერი 2020 წელს არ გამოცხადდა;
- „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამაში აუთვისებული დარჩა 58.2 ათასი ლარი, რადგან კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო სასწავლო პროცესი შეჩერდა და მოსწავლეები ტრანსპორტით მხოლოდ საანგარიშო წლის პირველ კვარტალში იყვნენ უზრუნველყოფილი.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებში აუთვისებული დარჩა 2,260.5 ათასი ლარი. მათ შორის, დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრულზე 1,222.5 ათასი ლარით ნაკლებით დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები. პროგრამის ფარგლებში, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ ახორციელებდა ღონისძიებას – ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სანიტარიულ ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის მიერთების მოწყობის სამშენებლო სამუშაოები,¹⁵ სადაც 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული 620.0 ათასი ლარი ვერ იქნა ათვისებული. მოპოვებული ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდგომ გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რაც მოითხოვდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებებს. პროექტის კორექტირება შესაბამის ექსპერტიზის დასკვნებთან ერთად დასრულდა 2020 წლის დეკემბერში,¹⁶ რის გამოც სამუშაოები წინასწარ განსაზღვრული მოცულობით 2020 წელს ვერ შესრულდა. ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს, რაც იმის შედეგია, რომ პროექტის დაგეგმვის დროს მოსალოდნელი შეზღუდვები სათანადოდ არ იყო შეფასებული. აქვე უნდა

¹⁵ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N62, 06/12/2019 (NAT190020391).

¹⁶ მხარეთა შეთანხმება N9, 19/12/2020.

აღინიშნოს, რომ პროექტზე ამ დროისთვის სამშენებლო სამუშაოები დასრულების ფაზაში უნდა იყოს, თუმცა მოპოვებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის მარტის მდგომარეობით, მეორე ეტაპის სამუშაოებიც კი არ არის დასრულებული. ამის გამო, 2021 წლის 26 მარტს, შემსყიდველმა ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა. ამჟამად, ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის მიერთების სამუშაოები შეჩერებულია, რამაც შესაძლოა კიდევ უფრო მეტად შეაფერხოს წლობით გაჭიანურებული „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელება.

7. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და მათი შეფასების ინდიკატორების შესახებ. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2013 წლიდან დაიწყო, თუმცა ჯერ კიდევ არ მტკიცდება ბიუჯეტის კანონით და მხოლოდ დანართის სახე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა რიგი პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია, იგი კვლავ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

მიუხედავად წლის ბოლოს განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებებისა, რომლის შედეგად გეგმური მაჩვენებლები მიესადაგა ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობას, რიგი პროგრამები/ქვეპროგრამები დაბალი ათვისებით ხასიათდება. ჯამურად, დაზუსტებული გეგმის 60%-ზე ნაკლები ათვისების მაჩვენებელი გააჩნია 8 პროგრამას/ქვეპროგრამას.

ცხრილი 11. რიგი პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულება (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2020 წლის დაზუსტებული გეგმა (1)	2020 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	შესრულება (2)/(1)
09 09	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსური უზრუნველყოფა	48.0	0	48.0	0%
05 18 05 02	კულტურა და ხელოვნება	18.9	3.5	15.4	18.4%
04 01 05	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	30.0	5.7	24.3	18.9%
05 18 04 02	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	57.0	14.7	42.3	25.8%
05 10 02	უმალესი განათლების ხელშეწყობა	150.0	69.2	80.8	46.1%
05 18 03 01	კონფერენციები და ფორუმები	19.6	9.4	10.2	47.7%
05 07 01	საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა	646.2	373.2	272.9	57.8%
06 05 08	სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია	6.2	3.7	2.5	60.0%

ზემოაღნიშნული 8 პროგრამიდან/ქვეპროგრამიდან აუთვისებელი დარჩა 496.5 ათასი ლარი, საიდანაც დიდი წილი ქვემოთ ჩამოთვლილ პროექტებზე მოდის:

- J „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის“ 2020 წლის გეგმა შეადგენდა 30.0 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5.7 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 18.9%). პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო დამატებით 9 ბენეფიციარის სესხით დაკმაყოფილება. იმის გამო, რომ ბენეფიციარების მხრიდან ვერ მოხერხდა ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, ბანკმა სესხები არ გასცა და შესაბამისად, არ განხორციელდა თანადაფინანსება.
- J ქვეპროგრამის „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“, წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 150.0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 69.2 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 46.1%). ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, კონფერენციები და სეზონური სკოლები გადავიდნენ ონლაინ ფორმატზე, რამაც ქვეპროგრამაში 80.2 ათასი ლარის ეკონომია გამოიწვია.
- J ქვეპროგრამის „საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა“, წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 646.2 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 373.2 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 57.8%). ქვეპროგრამის ფარგლებში, საჯარო სკოლებში, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას, დაფინანსდა თვეში, საშუალოდ, 205 ბავშვის საპანსიონო მომსახურება. თანხები აუთვისებელი დარჩა ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების შედეგად სკოლების დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის გამო.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ პროგრამების შემუშავება განხორციელდეს მიზანშეწონილობის სათანადო შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, ხოლო პროგრამის განხორციელებაში წარმოქმნილი შეზღუდვების შემთხვევაში, გამოკვლეულ იქნეს მიზეზები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, გამოთავისუფლებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ახალი პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.